პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

1 თებერვალი, ოთხშაბათი, 1989 წ., № 22 (9941) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა



წელს საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში სპორტის სხვა სახეობების წარმომადგენელთა მხარდამხარ პირველად იასპარეზებენ აკრობატები. მათ შორის ცხადია საქართველოს ნაკრები გუნდიც იქნება. მასალას, ახალგაზრდული საკავშირო თამაშებისათვის ჩვენი აკრობატების მზადების შესახებ, გთავაზობთ მეორე გვერდზე.

ჯემალ კასრაძის ფოტო

**თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის ანგარიშსწორების ანგარიშია: № 000700974 ქ. თბილისის პირველი მაისის რაიონის მრეწველმშენბანკის განყოფილება.**

## „ორმხრივი უნდა იყოს"

**ჩვენს** გაზეთში უკვე გამოქვეყნდა ინფორმაცია თბილისის „დინამოს" საფეხბურთო კლუბის შექმნისა და მისთვის ოფიციალური სტატუსის მინიჭების შესახებ. გამოქვეყნდა ანგარიშის ნომერიც. რედაქციაში ადრე შემოსული ყველა თხოვნა კლუბში გაერთიანების შესახებ „დინამოს" ხელმძღვანელობამ გაითვალისწინა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა დ. ყიფიანმა გვთხოვა მადლობა გადავცეთ ორგანიზაციებს და ცალკეულ პირებს, რომლებმაც კლუბში გაერთიანების სურვილი გამოთქვეს.

ახლა გაგაცნობთ გუშინდელ ფოსტას. „თბილისის „დინამოს" გულშემატკივარი ვარ 1980 წლიდან. რამდენიმე წელია მაქვს ჩემი ადგილი სტადიონზე: VI სექტორი მე-15 რიგი, 15 ადგილი. გთხოვთ გამაწევრიანოთ კლუბში და მომცეთ შესაძლებლობა შევინარჩუნო ჩემი ადგილი ტრიბუნაზე — შალვა ვაშაკიძე, თბილისი". „არა მგონია ვინმემ უარი თქვას და მხარში არ ამოუდგეს ჩვენს სახელოვან „დინამოს" ახალი ცხოვრების გზაზე, მაგრამ სიყვარული და პატივისცემა ორმხრივი უნდა იყოს. მთავარია გაგვახაროთ თამაშით. აბა თქვენ იცით, ბიჭებო! — ნოდარ მაღლაკელიძე, ქუთაისი". „მთელი ჩვენი ოჯახი ჩათვალეთ თქვენი კლუბის წევრად, ეს ჩვენ გვეამაყება — მიხეილ ბედუკაძე, რუსთავი".

აი, კლუბში გაერთიანების სხვა მსურველებიც: ბადრი კუტალაძე და ტარიელ ცენტერაძე (სოფ. ხიდისთავი, გორი), როსტომ ნოქარაშვილი (სოფ. სიმხევი, თიანეთი), გივი და მაია ჭუჭულაშვილები (წითელი წყარო), გურამ ზოიძე (სოფ. ციხისძირი, ქობულეთი), სოსო მებუკე (წულუკიძე), თამაზ კვინიკაძე (ბათუმი), ვახტანგ მსხალაძე (სამტრედია), [illegible] ლეთოდიანი

იხ. მე-3 გვ.

## ცაიტნოტების საღამო

**ახალგაზრდა** ოსტატ მოჭადრაკეთა საკავშირო პირველობაზე მესამე ტურთან შედარებით, სადაც პარტიების უმრავლესობა ყაიმით დამთავრდა, მეოთხე უშეღავათო ორთაბრძოლებით აღინიშნა. ამაზე მეტყველებს თუნდაც ის, რომ ამ დღეს მხოლოდ ორი პარტია დამთავრდა — ტალინელმა საერთაშორისო ოსტატმა ლემბიტ ოლმა შავი ფიგურებით სძლია ოდესელ ოსტატ სტანისლავ სავჩენკოს, საერთაშორისო ოსტატი ედვარდ როზენტალისი (ვილნიუსი) კი დაუზავდა ოსტატ ალექსეი შიროვს (რიგა). გადაიდო დრეევ-ტიმოშენკოს, შაბალოვ-ულიბინის, ანასტასიან-დაუტოვის, ეპიშინ-სერპერის, ნევეროვ-გიორგაძისა და აკოფიან-რუბანის პარტიები. აღსანიშნავია, რომ თითქმის ყველა ორთაბრძოლა სასტიკ ცაიტნოტში წარიმართა, მაგრამ მოჭადრაკეებმა წარმატებით გაართვეს თავი ამოცანას.

4 ტურის შემდეგ 3 ქულით I ადგილზე გადაინაცვლა საერთაშორისო ოსტატმა ლემბიტ ოლმა (ტალინი). შემდეგ მოდიან: აშოტ ანასტასიანი (ერევანი) — 2,5 (1), ედვარდ როზენტალისი (ვილნიუსი) — 2,5, ვალერი ნევეროვი (კიევი), რუსტამ დაუტოვი (მინსკი), ალექსანდრე შაბალოვი (რიგა), ვლადიმერ აკოფიანი (ერევანი) — 2-2 (1-1).

**თამარ ხუგაშვილი,**
**საერთაშორისო ოსტატი.**

## დაწინაურდა ანატოლი კარპოვი

**ამერიკის** ქალაქ სიეტლში ჭადრაკში მსოფლიო პირველობის მეოთხედფინალური მატჩის მეორე პარტიაში მსოფლიოს ექსჩემპიონმა ანატოლი კარპოვმა სძლია ისლანდიელ დიდოსტატს იოჰან ჰიარტარსონს. მატჩში დაწინაურდა კარპოვი — 1,5:0,5.

## ცენტრალური შეხვედრა

**სამტრედიაში** მიმდინარე მოჭადრაკე ვაჟთა 49-ე რესპუბლიკური ჩემპიონატის ფინალური შესარჩევი შეჯიბრების IV ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები, ორი ალეკო — სამტრედიელი ვაშაკიძე და ქუთაისელი არსენიძე. შავი ფიგურებით მოთამაშე ვაშაკიძემ გამარჯვებას მიაღწია და გათამაშების ცხრილს სათავეში მოექცა. ახლა მას 4 ქულა აქვს. ლიდერს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან ალეკო იოსელიანი (თბილისი), დავით ტიკურიშვილი (რუსთავი), რომან სიჭინავა (ცხაკაია), ტარიელ მოდებაძე (ქუთაისი), რევაზ დადიანი (სოხუმი), ფრიდონ კაგარეიშვილი (ვანი). 3-3 ქულა მოაგროვეს ისიდორ გოგიშვილმა (ბათუმი), ალეკო არსენიძემ (ქუთაისი), ზესო ლეჟავამ (სამტრედია), თემურ ვალიევმა (ცხინვალი). შეჯიბრებაში მონაწილე ერთადერთმა ქალმა, სამტრედიელმა ოსტატმა სოფიკო ტერელაძემ ჯერჯერობით 2,5 ქულა მოაგროვა.

**ბეჟან ჩხაიძე,**
**შეჯიბრების მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის არბიტრი.**

(ტელეფონით).





## სასიხარულოც და საწყენიც

**შაბათს** კალათბურთის სასახლეში (კიროვის პარკი) ჩატარდა შეჯიბრება ქართულ ჭიდაობაში რესპუბლიკის სოფლებისა და ქალაქის უბნებს შორის საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პრიზზე. ასპარეზობაზე მისულთ ერთი სასიამოვნო სიურპრიზი დახვდათ — მოჭიდავეებს გამოუძღვა ძველთბილისურ ტანსაცმელში გამოწყობილი დამკვრელთა დასტა.

მოგვიანებით გავიგეთ, რომ ეს ტანსაცმელი ჭიდაობის ენთუზიასტ რობინზონ ნუსხელაძეს კონსტიტუციიდან გამოუტანია და ისევ უკან უნდა ჩაებარებინა. არადა, როგორი კოლორიტი შესძინა ასპარეზობას ამ თითქოსდა უმნიშვნელო დეტალმა.

ალბათ დადგა დრო, რომ დამკვრელებისთვის, თუ მეტი არა, თითო ხელი ასეთი ტანსაცმელი მაინც შევაკეროთ.

დღეს ქართული ჭიდაობა დიდი მზრუნველობითაა გარემოსილი და უყურადღებოდ არც დამკვრელთა ჩაცმულობა უნდა დაგვრჩეს.

აქვე გვინდა ერთ ნაკლზე გავამახვილოთ ყურადღება: იმ დროს, როცა ქართული ენის სიწმინდის დაცვისთვის ბრძოლამ ასეთი სახელმწიფოებრივი მასშტაბი მიიღო, რატომღაც საშველი არ დაადგა იმას, რომ ქართული ჭიდაობის დროს მაინც მსაჯები რუსულწარწერიანი სანიშნებით არ აფრთხილებდნენ სპორტსმენებს.

ახლა კი მოკლედ იმის შესახებ, თუ როგორ წარიმართა შეჯიბრება.

ქარელის რაიონის სოფელ ფცის მოჭიდავეებმა ანგარიშით 7:2 დაამარცხეს წითელწყაროს რაიონის ზემოქედის გუნდი. წინამძღვრიანთკარელებმა (მცხეთის რაიონი) უფრო დამაჯერებლად — 9:0 დაამარცხეს გურჯაანის რაიონის სოფელ კაჭრეთის მოჭიდავეები.

**ლევან ჯაბაძე.**

**ავტორის** ფოტოები.

## საკავშირო სპორტსახკომში

**სამგზის** ოლიმპიური ჩემპიონი, კიეველი ვალენტინ მანკინი სათავეში ჩაუდგა საკავშირო სპორტსახკომის ახალ სამმართველოს, რომელშიც გაერთიანდნენ სპორტის შემდეგი სახეობები: ცურვა, წყალბურთი, სინქრონული ცურვა, წყალში და ბატუტზე ხტომა, წყალთხილამურები, აფროსნობა და ნიჩბოსნობა.

50 წლის მანკინი სამი ოლიმპიადის (მე-19, მე-20 და 22-ე) ჩემპიონია აფროსნობაში (21-ე ოლიმპიურ თამაშებში ვერცხლის მედალი მიიღო). სპორტს რომ თავი მიანება, მწვრთნელად დაიწყო მუშაობა. იყო აგრეთვე იახტ-კლუბის ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

ახალი სამმართველოს უფროსის მოადგილედ, სახელმწიფო მწვრთნელად და მოცურავეთა ნაკრების მთავარ დამრიგებლად დაინიშნა ოთხი ოლიმპიური ოქროს მედლის მფლობელი, სახელმოხვეჭილი მოცურავე მოსკოველი ვლადიმერ სალნიკოვი. უკანასკნელი ოლიმპიური ჯილდო მან სეულში მოიპოვა. შარშან 28 წლის სალნიკოვი ჟურნალისტებმა ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად დაასახელეს.

## ოლხოვსკი ჩინებულ ფორმაშია

**3-5 თებერვალს** პრაღაში საბჭოთა კავშირის ჩოგბურთელთა ნაკრები დევისის თასის გათამაშების კალენდარულ მატჩს გამართავს ჩეხოსლოვაკიის ნაკრებთან. ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრების წინ მოსკოვში უძლიერესთა ორდღიანი მინი-ტურნირი მოეწყო.

პირველივე ორთაბრძოლა მოულოდნელი შედეგით დამთავრდა. მოსკოველმა ანდრეი ოლხოვსკიმ თანაქალაქელი და ნაკრების პირველი ნომერი ანდრეი ჩესნოკოვი დაამარცხა (7:6, 6:2).

დაძაბული ბრძოლით აღინიშნა გუნდის ყველაზე ახალგაზრდა წევრის, 18 წლის უფელ ანდრეი ჩერკასოვისა და კალინინგრადელ ალექსანდრე ვოლკოვის შეხვედრა. გაიმარჯვა ჩერკასოვმა (6:4, 6:4) და ოლხოვსკისთან ერთად ფინალში თამაშის უფლება მოიპოვა. ოლხოვსკი, როგორც ჩანს, ჩინებულ ფორმაშია, მან თავისი ახალგაზრდა მეტოქე ორ პარტიაში დაამარცხა — 7:6, 7:5.

ორიენტირი — ახალგაზრდული საკავშირო თამაშები

# ვინც მეტს მუშაობს, დახმარებაც მეტია საჭირო

**საქართველოს** აკრობატთა ახალგაზრდული ნაკრები ამჟამად თბილისში ვარჯიშობს. მიუხედავად ამისა, არც ისე იოლი აღმოჩნდა ჩვენი გუნდის უფროსი მწვრთნელის ანატოლი სლივკოვის მოძებნა. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ნაკრები სამ სხვადასხვა ადგილზე („შრომითი რეზერვების" სპორტული კომპლექსი, არმიის სპორტული კლუბის დარბაზი და აკრობატიკის რესპუბლიკური სკოლა) ვარჯიშობს. ანატოლი სლივკოვი „მთავარ შტაბბინაში" — სპორტსკოლაში მოვიხელთეთ, საუბარს ნაკრების სხვა მწვრთნელებთან ერთად სკოლის დირექტორი საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი მიხეილ გეგელიაც ესწრებოდა.

**⊙ როდის გაირკვა, რომ აკრობატები საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში მიიღებდნენ მონაწილეობას?**

**მიხეილ გეგელია** — ოთხი წლის წინ საკავშირო სპორტსახკომიდან მივიღეთ კალენდარი, სადაც აღნიშნული იყო 2000 წლამდე ჩასატარებელი ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიება, მათ შორის ახალგაზრდული თამაშებიც. ისე რომ, თამაშებისთვის მზადება კალენდრის გაცნობის შემდეგ დავგეგმეთ, თუმცა როგორც ხშირად ხდება, არც ეს კალენდარი აღმოჩნდა ნაკლისგან დაზღვეული. ამ ნახევარი წლის წინ მოსკოვიდან მივიღეთ შესწორება, რომლის მიხედვით თამაშებში მონაწილეობა შეუძლიათ მხოლოდ 1969 წელს და შემდეგ დაბადებულ ახალგაზრდებს და არა ერთი წლით უფროსებს, როგორც ეს ადრე იყო დადგენილი და რომლის მიხედვითაც წლების განმავლობაში ვემზადებოდით. ასე რომ, გუნდში ველარ გამოვლენ საბჭოთა კავშირის თასის შარშანდელი მფლობელები ჯგუფურ ვარჯიშში ვილი ვართანოვი, აფანას იანაკოევი, იოსებ თუთბერიძე, სტანისლავ პეტროვი და IX საკავშირო სპარტაკიადის ჩემპიონი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ფატი სულაქველიძე.



**ანატოლი სლივკოვი** — უშუალოდ ახალგაზრდული თამაშებისთვის მზადებას დეკემბერში შევუდექით — გუნდი 60 სპორტსმენის შემადგენლობით ესენტუკში იყო სპორტულ-გამაჯანსაღებელ შეკრებაზე, სადაც ვამუშავებდით ცალკეულ ელემენტებს, ვცდილობდით სპორტსმენები რაც შეიძლება მეტხანს ყოფილიყვნენ სუფთა ჰაერზე. ესენტუკის შემდეგ შეკრება თბილისში გავაგრძელეთ, ახლახან ვინიცაში გენერალ-ლეიტენანტ გუსაროვის პრიზზე გამართულ ტურნირში გამოვედით. ასპარეზობაზე ის სპორტსმენები გავგზავნეთ, რომელთაც საშეჯიბრო მომზადება აკლდათ. ახალგაზრდული თამაშების დაწყებამდე კიდევ 5 შეკრება გვექნება. ორს აკრობატიკის სპორტული სკოლა მოაწყობს, სამს — საქართველოს სპორტსახკომი.

**⊙ პრობლემებზე რას გვეტყვით?**

— ჩვენი ყველაზე მთავარი პრობლემა — სავარჯიშო პირობები, რომ იტყვიან, „არ ახალია, ძველია". მაგრამ ამის შესახებ იმდენი ითქვა, რომ კიდევ ერთხელ გამეორებას აზრი არა აქვს — **აკრობატებს თანამედროვე ტიპის სპორტული დარბაზი ჰაერივით ჭირდებათ. გარდა ამისა, სრულიად მოუგვარებელია კვების საკითხი. სპორტსმენები იმით კი არ იკვებებიან, რაც მათ ორგანიზმს სჭირდება, არამედ იმით, რასაც შესთავაზებენ.** სამწუხაროდ, ასე მხოლოდ ჩვენთან, საქართველოში ხდება, გამონაკლისია ეშერის სპორტული ბაზა. რესპუბლიკის გარეთ, ამ მხრივ, არაფერი გვაქვს სასაყვედურო, და კიდევ ერთი მინდა გითხრათ, რატომღაც ჩვენს აკრობატებს არასოდეს უწევთ მონაწილეობა საერთაშორისო შეჯიბრებებსა თუ ტურნირებში, თუმცა, როგორც საკავშირო, ისე მსოფლიო არენაზე მათ არაერთხელ გამოუჩენიათ თავი. შემიძლია ჩამოგითვალოთ ბევრი რესპუბლიკა, რომელთა აკრობატები, რატომღაც ახერხებენ საზღვარგარეთ გამგზავრებას და საერთაშორისო შეჯიბრებებში გამოცდილების მიღებას. ეგ კი არა, უკრაინა პოლონეთში შეკრებებსაც კი აწყობს.

**⊙ შარშან ჭაბუკთა საკავშირო თამაშებში ჩვენმა ნაკრებმა მეორე ადგილი დაიკავა და ისეთ ძლიერ რესპუბლიკას გაუსწრო, როგორიცაა რსფსრ. იგივე შედეგის გამეორებას წელსაც ხომ არ აპირებთ?**

— იმ შედეგის გამეორება გაგვიჭირდება, საქმე ისაა, რომ შარშან კრასნოდარის აკრობატიკის სპორტული სკოლის ხელმძღვანელობამ დაარწმუნა რსფსრ-ის სპორტსახკომი, რომ თუ ამ სკოლის გუნდი ცალკე გამოვიდოდა, მაშინ უკრაინის, რსფსრ-ისა და საქართველოს გუნდებს მაინც აჯობებდნენ და ამავე დროს სპორტულ სკოლებს შორის გამართულ პარალელურ ჩათვლაშიც გაიმარჯვებდნენ, რაც შეცდომა იყო. ჩვენი სკოლა ხომ 5 წელია პირველ ადგილს არავის უთმობს. ერთი სიტყვით, კრასნოდარელებმა ორი კურდღლის დაჭერა მოინდომეს, მოხდა კი ისე, რომ როგორც რსფსრ-ს, ისე კრასნოდარის გუნდი პრიზიორთა მიღმა დარჩა. არა მგონია, რომ ეს „ექსპერიმენტი" კიდევ გამეორდეს. ჩვენი მიზანი ახალგაზრდულ თამაშებში მესამე გუნდური ადგილია. სპორტსკოლებს შორის კი იმედი გვაქვს, რომ უძლიერესის სახელს არავის დავუთმობთ. რაც შეეხება ცალკეულ სპორტსმენებს, თუ რაიმე გაუთვალისწინებელი შემთხვევა არ მოხდა, ოქროს მედლებს აუცილებლად მოიპოვებენ მსოფლიო ჩემპიონები ნატალია ანისიმოვა, ინგა გიორგობიანი და სვეტლანა მაკარიჩევა. ასე დაბეჯითებით იმიტომ ვამბობ, რომ დღეს ჩვენი გოგოები ერთი თავით მაღლა დგანან მეტოქეებზე. ვერცხლის მედლებისთვის იბრძოლებს შერეული წყვილი (ირინა ოვოშანიძე, რომანოზ კუხალეიშვილი) და გოგონათა წყვილი (თინათინ ვარდიძე, თამრიკო ბეროზაშვილი). ბრინჯაოს მოპოვების შანსი აქვთ თამაზ ბუზიაშვილისა და ალექსანდრე მავრანგელოვის ოთხეულებს. ვაჟთა წყვილს ხუთეულს ვუგეგმავთ.



**⊙ ბოლო ხანს ჩვენს ნაკრებში ყველაზე სუსტ რგოლად მხტომელები ითვლებიან. ეს (განსაკუთრებით გოგოებზე ითქმის, თუმცა არც ისე შორეულ წარსულში ხშირად მხტომელებზე იმედი გვქონდა. ისიც სათქმელია, რომ 1981 წლიდან 1987 წლამდე საბჭოთა კავშირის ნაკრების ღირსებას ჩვენი ხუთი აკრობატი იცავდა. რა მოხდა, რატომ დავთმეთ ასე მკვეთრად პოზიციები?** ამ კითხვით მივმართეთ საქართველოს აკრობატ-მხტომელთა უფროს მწვრთნელს **ჯუმბერ ლაშხს.**

— ეს საკითხი ყველაზე მეტად მხტომელთა მწვრთნელებს გვაწუხებს. საქმე ისაა, რომ **ჩვენს შეგირდებს ყველაზე ცუდი სავარჯიშო პირობები აქვთ. ძნელია ისეთ პირობებში ვარჯიში, როცა სახტომი ორმო, ბატუტი, ტრენაჟორები და თანამედროვე ტიპის სახტომი ბილიკები არ გაგვაჩნია.** სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ მოზარდები საპროგრამო მოთხოვნას ვერ ძლევენ. ეს განსაკუთრებით გოგოებზე ითქმის. ვაჟები ასე თუ ისე მივიდნენ საპროგრამო მოთხოვნების ზღვარამდე. ახლა ათვისებული პროგრამის დახვეწაზე მიდგა საქმე. მიუხედავად ამისა, იმედი გვაქვს, რომ ახალგაზრდულ თამაშებში ჩვენი ბიჭები ფინალში მოხვდებიან.

**მიხეილ გეგელია:** მე, ცხადია, ვეთანხმები ჯუმბერ ლაშხს, რომ პირობები რთული გვაქვს, რომ ორჯერ და მეტჯერ გართულდა მხტომელთა პროგრამა, მაგრამ მარტო ვაი-ვიშით ფონს ვერ გავალთ, ყველაზე მთავარი აქ ისაა, რომ მხტომელთა მწვრთნელებს ძველი ენთუზიაზმი გაუნელდათ, ეს კი მოგეხსენებათ, არც თუ ისე ხელწამოსაკრავი ფაქტორია. სიმართლე უნდა ვთქვათ — **მეტი მუშაობა გვმართებს, სხვანაირად თვალსა და ხელს შუა დავკარგავთ იმ ავტორიტეტს, რომელიც დღეს ქართველ აკრობატებს აქვთ.**

ნაკრების მწვრთნელებთან საუბრის დროს ისიც ითქვა, რომ ახალგაზრდულ თამაშებში პარალელურად გათამაშდება 1973 წლის შემდეგ დაბადებულ აკრობატთა საკავშირო პირველობა, აქ გამარჯვებული სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს პირველობაზე, რომელიც პოლონეთში ჩატარდება.

**ჯემალ კახრაძე.**

ტურნირის ექო

# ძალა ტრადიციისა

**ჩვენში** იანვარს ტურისტულ პიკს ვერ უწოდებ, რადგან აქაური სანახები უფრო გაზაფხულზე და ზაფხულის დღეებში იზიდავს როგორც საბჭოთა, ისე უცხოელ მოგზაურობის მოყვარულებს. მაგრამ ბოლო ხანს წელიწადის პირველი თვის მიწურულს, „მკვდარი სეზონის" მიუხედავად, საგრძნობლად გამოცოცხლდება ხოლმე ადგილობრივი „ინტურისტის" სასტუმროები, „აჭარისა" და „ივერიის" ჰოლებსა და ვესტიბიულებში უცხო ენაზე მოლაპარაკენი ირევიან. ძნელი მისახვედრი არაა, რომ სტუმრებს თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ტრადიციულმა ტურნირმა უხმო თბილის-ქალაქში. მათ შორის ადვილად გამოარჩევ აღმოსავლურ, კერძოდ, თურქულ ან სპარსულ ენაზე მოსაუბრეთ.

„მიზანში" ამოვიღეთ ირანელთა სამკაციანი ჯგუფი. სამეული, რომლითაც დავინტერესდით, განვლილი დღის პერიპეტიებზე ხმამაღლა მსჯელობდა. რატომ მაინცდამაინც ირანელები? — საქმე ისაა, რომ ამ ქვეყნის სპორტსმენები ადრე თვალსაჩინო შედეგებს აღწევდნენ თბილისის ხალიჩაზე და მათს აქტივში ტურნირის ერთ-ერთი რეკორდიც არის — ათი ჩემპიონი სხვადასხვა დროს. როგორც ხედავთ, ირანელები ანგარიშგასაწევი მეტოქეები ყოფილან. ამიტომაც საუბრის დროს გავიხსენეთ მოჭიდავეები, ვინც წარმატებით დაიცვა ირანის სახელი, კერძოდ — ჰოდაბანდი, ჰეიდარი, მოვაჰედი, ნამატოლი, ბოზმაგარი და სხვები, რომლებიც დაბალ წონებში — 68 კგ-მდე იმარჯვებდნენ. მაგრამ ყველაფერი ეს ათი წლის წინანდელი წარმატებაა, რასაც იქ მომხდარი რევოლუციის შედეგად გამოწვეული ხანგრძლივი ვაკუუმი მოჰყვა.

— ირანში თავისუფალი ჭიდაობის აღორძინება დაიწყო, — თქვა ნაკრების მწვრთნელმა ჰუსინ ჯამალმა (მასთან ერთად გვესაუბრებოდა იქაური ჟურნალისტი ნაადირ ჯანგირი), — ამას მოწმობს თუნდაც ის, რომ სეულის ოლიმპიადაზე ჩვენმა მუჰამედ ოსკარმა 57 კილოგრამ წონითს კატეგორიაში მესამე საპრიზო ადგილი მოიპოვა, მომდევნო წონის მოჭიდავე ევალახ აქფარი კი მეოთხე იყო. მაგრამ არც ერთი და არც მეორე თბილისში არ ჩამოგვიყვანია, რადგან ახალი ოლიმპიური ციკლის სტარტზე ახალგაზრდების გამოცდა გვინდა, მათი, ვისაც მომავალში ნაკრების ღირსების დაცვა მოუხდება. გავითვალისწინეთ ისიც, რომ ჭიდაობას უმთავრესად თეირანელი ჭაბუკები ეტანებიან და სწორედ დედაქალაქის ნაკრები ჩამოვიდა ასპარეზობაზე. გუნდში ოც წლამდე ასაკის მოჭიდავეები არიან.

— რა მნიშვნელობას ანიჭებთ თქვენს ტურნირს? — მას მსოფლიოს ყველა კუთხის მოჭიდავეებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს, რადგან ძალზე ხელსაყრელი დრო შეგირჩევიათ — წლის დასაწყისი. იგი მთელი სეზონის ორთაბრძოლებისთვის მზადყოფნის „სასინჯი ქვაა". თამამად შეიძლება ითქვას, მას, ვინც აქ გაიმარჯვებს, წლის სხვადასხვა შეჯიბრებაში წარმატებაზე ფიქრიც შეუძლია. ნათქვამის დასტურად იმავე მოვაჰედის, ჰოდაბანდისა და ჰეიდარის მაგალითებიც გამოდგება, რომლებმაც თბილისის ტურნირის შემდეგ მსოფლიო მასშტაბის ასპარეზობებშიც ისახელეს თავი. ეს ტრადიციაა.

წლევანდელი ტურნირის ფასი კი უფრო იმან გაზარდა, რომ ყველას სურს ოლიმპიური ციკლის პირველი შეჯიბრება, თანაც ფილა-ს ახალი წესებით, კარგად ჩაატაროს.

რაც შეეხება ჩვენს წლევანდელ გამოსვლას, მასზე არც თავიდან ვამყარებდით დიდ იმედებს. აკი გითხარით, ახალბედებს ვცდით... ამას დაემატა მომქანცველი მგზავრობა მატარებლით, რასაც სამი დღე-ღამე დასჭირდა.

ვინ მომეწონა ტურნირზე? — ბისულთანოვი, ტუგუზოვი, კარამჩაკოვი... და რამდენიმე „მწვანე" მოჭიდავე, რომელთა სახელი და გვარი ჩვენთვის უცნობია, მონაწილეთა სიები რუსულადაა დაბეჭდილი ოქმებში, ეს ენა კი არ ვიცით. მოგვწონს ტურნირის ორგანიზაციაც.

ირანელთაგან საუკეთესო იყო 52 კგ წონითი კატეგორიის მოჭიდავე იაკობ ჯუიბარი, რომელმაც პირველ დღეს გდრ-ის წარმომადგენელ მარის ვილომელტანთან დამარცხების შემდეგ შეძლო ძალთა მობილიზება, მეორე წრეში მონგოლ მეტოქეს განდობოლდს სძლია, რის შედეგადაც გზა გაეხსნა გამარჯვებულთა კვარცხლბეკის მესამე საფეხურისაკენ, რამაც ნამდვილი ზეიმი გამოიწვია ირანელთა ბანაკში. ნაადირ ჯანგირმა მოჭიდავეთა შეხვედრებს უამრავი ფოტოკადრი შეალია, შემდეგ კი საგანგებოდ მოიწვია ობიექტივის წინ ქართულ ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილი ცერემონიალის მონაწილე ჩვენი გოგოები და მათთან გადაიღო სურათი. კვირა საღამოს ირანელებზე გახარებული არავინ იყო სპორტის სასახლეში.

**უშანგ ჟიჟინაძე.**

„შრომითი რეზერვების" პირველობაზე

# ორი ქულით ჩამორჩნენ

**ფრიად** წარმომადგენლობითი გახლდათ ქალაქ კრემენჩუგში ახლახან ჩატარებული სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" ცენტრალური საბჭოს პირველობა ძიუდოში. იქ საასპარეზოდ შეიკრიბნენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები.

შეჯიბრების დაწყებამდე გუნდური პირველობის ფავორიტების დასახელება ძნელი არ იყო — საპრიზო სამეულის პრეტენდენტები, რა თქმა უნდა, საქართველოს, რსფსრ-ის და უკრაინის ძლიერი კოლექტივები იყვნენ. ტურნირის მსვლელობამ ეს ვარაუდი დაადასტურა, ეგაა რომ, უკრაინის ნაკრებმა სათანადო წინააღმდეგობა ვერ გაუწია რუსეთის ფედერაციისა და საქართველოს გუნდებს და საბოლოოდ მესამე ადგილზე აღმოჩნდა. პირველი ადგილისათვის დავაში კი რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებმა ორი ქულით აჯობეს ჩვენს მოჭიდავეებს.

პირად ასპარეზობაში თავი ისახელეს ჩვენი რესპუბლიკის მოჭიდავეებმა ბ. ზურაბიანმა (68 კგ) და ა. ხაჩიროვმა (75) — ისინი კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ. მეორე ადგილი დაიკავეს გ. მანთაშაშვილმა (53), კ. ბერუაშვილმა (68) და თ. ცოფურაშვილმა (90), მესამე — ი. ბერბერაშვილმა და გ. ხუტილაშვილმა.

ამ შეჯიბრებისათვის გუნდი მოამზადეს **მწვრთნელებმა ვ. კბილაშვილმა, მ. ღალანიძემ, ვ. ბალხამიშვილმა და გ. მაჭარაშვილმა.**

# თბილისის „შორეული" ჩემპიონები

**თბილისის** თავისუფალი სტილის ჭაბუკ მოჭიდავეთა პირველობაზე მისულთ სიურპრიზი ელოდათ — შეჯიბრებაში მონაწილეობის სურვილი შორეული იაკუტიის სპორტსმენებმაც გამოთქვეს. ეს ფაქტი, ცხადია, ამ ტურნირის მაღალ ავტორიტეტზე მეტყველებს.

ამ ასაკის მოჭიდავეთა შეჯიბრებაში ყველაზე საყურადღებო, ცხადია, პერსპექტიულ სპორტსმენთა გამოჩენა გახლავთ. პირველობამ ამ თვალსაზრისითაც იმედები გაამართლა — მწვრთნელების ყურადღება ბევრმა ახალგაზრდამ მიიპყრო. მათგან საუკეთესოებს, ჭიდაობის ტექნიკით გამორჩეულებს, გადაეცათ ოლიმპიური და მსოფლიო ჩემპიონების მირიან ცალქალამანიძის, ვახტანგ ბალავაძის, დავით ციმაკურიძის, ლევან თედიაშვილის, დავით გობეჯიშვილის და არსენ მეკოკიშვილის სახელობის პრიზები.

როგორც მოსალოდნელი იყო, დაბალ წონით კატეგორიებში სტუმრებმა იმარჯვეს — თბილისის ჩემპიონები გახდნენ პავლე კაპიტონოვი (32 კგ), სერგეი ალექსეევი (35) და ტოხით პროკოფიევი (38) — დანარჩენ წონებში კი გამარჯვება მასპინძლებს დარჩათ. 41 კგ წონაში საუკეთესო იყო ვახტანგ ლისენკო („შრომითი რეზერვები"), 44 — დავით იანთბელიძე („ლოკომოტივი"), 47 — ივანე ლონიაშვილი, 50 — ავთანდილ მიქელაშვილი (ორივე—სახალხო განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატი), 54 — ლევან ლობჟანიძე („ლოკომოტივი"), 58 — ფოგელი ჯულაყიძე („დინამო"), 63 — აკაკი მახუაშვილი (სკოლა-ინტერნატი), 68 — კახა ჭელიაშვილი („დინამო"), 74 —გელა მაისურაძე („ლოკომოტივი"), 81— გიორგი ტორჩინავა („ლოკომოტივი"), 87 — კახა შოშიტაშვილი (პროფკავშირები), +87 — მარადი ბანძელაძე („შრომითი რეზერვები").

**გელა ბენდიანაშვილი,**
**სპორტის ოსტატი, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.**

# „ორმხრივი უნდა იყოს“

(დასასრული)

(ცაგერი), ზაზა გელაშვილი (სოფ მერია, მახარაძე), მირიან ბასილაია, გურამ და ქეთევან კაკაურიძეები (სამივე თბილისი).

კლუბში გაწევრიანება გრძელდება.

განმეორებით გაცნობებთ, რომ ანგარიშზე თანხის (12 მანეთი ინდივიდუალური წევრებისათვის, არანაკლებ 1000 მანეთისა კოლექტიური წევრობისათვის) შეტანა შეგიძლიათ ნებისმიერ რეგიონში ჩვენს მიერ უკვე გამოცხადებულ ანგარიშზე. ქვითარი, აგრეთვე თქვენი გვარი, სახელი, მამის სახელი და ზუსტი მისამართი უნდა გააგზავნოთ კლუბში მისამართით: თბილისი 380059, დიღმის მასივი, „დინამოს“ საფეხბურთო კლუბი. თქვენ მისამართზე წლევანდელი საფეხბურთო სეზონის დაწყებამდე მიიღებთ საწევრო ბილეთს, სამკერდე ნიშანს და ა. შ. თბილისელებისთვის ქვითრების ჩაბარების თარიღი ცალკე გამოქვეყნდება.

კონკრეტული შეკითხვებით გთხოვთ მოგვმართოთ რედაქციაში. გისურვებთ წარმატებას!

# ემზადებიან...

**ფეხბურთის** მოყვარულები ხშირად მოგვმართავენ კითხვით, თუ როგორ ემზადებიან მომავალი სეზონისთვის ჩვენი რესპუბლიკის უმაღლესი, პირველი და მეორე ლიგების გუნდები.

1989 წლის საფეხბურთო სეზონისთვის მზადებას თბილისის „დინამო“ დიღმის საწვრთნელ ბაზაზე გადის, გუნდი რამდენიმე დღის მერე ლესელიძეს ეწვევა და იქაურ ბაზაზე გააგრძელებს მოსამზადებელ ციკლს. რაც შეეხება I ლიგის კოლექტივებს, ლანჩხუთის „გურია“ ალახაძეში იმყოფება, ბათუმის „დინამო“ წვრთნას თავისივე ქალაქში აგრძელებს, ხოლო I ლიგის მესამე ბინადარი ქუთაისის „ტორპედო“ ეშერაში იმყოფება საწვრთნელ შეკრებაზე.

ჩვენი II ლიგის კოლექტივები ჯერჯერობით თავიანთ ქალაქებში განაგრძობენ მომავალი სეზონისთვის მზადებას.

# გინესის რეკორდების წიგნის კანდიდატი

**საქინფორმის** კორესპონდენტი იუწყება, რომ 26 წლის ელექტრომექანიკოსს ზაქრო ცირეკიძეს, რომელიც სოფელ ორპირში ცხოვრობს ტყიბულის მახლობლად, აქვს უჩვეულო ოფიციალური მოწმობა. იგი დამოწმებულია ორპირის საშუალო სკოლის დირექტორის ე. სულიაშვილისა და ფიზკულტურის მასწავლებლის მ. ჯვებაძის ბეჭდით და ხელმოწერით. ცნობა ადასტურებს, რომ ზ. ცირეკიძემ 10 საათის, 17 წუთისა და 3 წამის განმავლობაში მიწაზე დაუშვებლად 85.000-ჯერ აკენწლა ბურთი, ამასთან სპორტსმენი მოქმედებდა მხოლოდ ფეხებით, თავით, მხრებით....

ერთი სიტყვით, ზაქრო ცირეკიძეს პრეტენზია აქვს გინესის რეკორდების ცნობილ წიგნში ადგილი დაიკავოს ფეხბურთის ბურთით ჟონგლირებაში. ამჟამად ეს რეკორდი ეკუთვნის შვეციის მაცხოვრებელ მიქაელ პალმკვისტს და უდრის 14 საათსა და 14 წუთს.

— ვოცნებობ შვედის რეკორდი დავამხო ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთ უდიდეს სტადიონზე ფეხბურთში საკავშირო ჩემპიონატის რომელიმე მატჩის დროს — განაცხადა ზაქრო ცირეკიძემ.

# საერთაშორისო ტურნირებზე

**ლენინგრადში** გაიმართა დაძმობილებული ქალაქების ფეხბურთელთა საერთაშორისო ტრადიციული ტურნირი. ფინალურ მატჩში ლენინგრადის „ზენიტმა“ ანგარიშით 2:0 დაამარცხა ბულგარეთის ქალაქ პლოვდივის „თრაკია“.

მესამე ადგილისათვის ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთის „ჰავრი“ და გდრ-ის „მაგდებურგი“. მატჩის ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ — 1:1, დამატებითი 11-მეტრიანებით გაიმარჯვეს ფრანგებმა.

**ინდოეთის** ქალაქ მარგაოში მიმდინარე ჯ. ნერუს საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირზე სსრ კავშირისა და უნგრეთის გუნდების მეტად დაძაბული შეხვედრა დამთავრდა საბჭოთა ფეხბურთელთა გამარჯვებით — 3:2. ჩვენი გუნდიდან ბურთები გაიტანეს კობელევმა (2) და რევიშვილმა.

4 ტურის შემდეგ სსრ კავშირის ნაკრებს 8 ქულა აქვს, უნგრელებს 6.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები

**ბრაზილიის** ნაკრების ახალმა მწვრთნელმა სებასტიო ლაზარონიმ დაასახელა 36 ფეხბურთელი, რომელთაგანაც დაკომპლექტდება ქვეყნის ეროვნული გუნდი 1990 წლის მსოფლიო პირველობის შესარჩევი ტურნირისათვის.

**მეკარეები:** ტაფარელი („ინტერნასიონალი“), ზე კარლოსი („ფლამენგო“), აკასიო („ვასკო და გამა“).

**დაცვა:** ჟორჟინიო („ფლამენგო“), ლუის კარლოსი („ინტერნასიონალი“), ანდრე კრუსი („პონტე პრეტა“), ბატისტა („ატლეტიკო მინეირო“), ალდაირი („ფლამენგო“), მარსელო („კორინტიანსი“), ედუარდო („ფლუმინენსე“), მარზინიო („ვასკო და გამა“), მოზერი („ბენფიკა“, პორტუგალია), ჟულიო სეზარი („მონპელიე“, საფრანგეთი), რიკარდო გომეში („ბენფიკა“), ალოიზიო („ბარსელონა“, ესპანეთი).

**ნახევარდაცვა:** ვალდემარი („გოიასი“), ზე დო კარმო („ვასკო და გამა“), ჟეოვანი („კრუზეირო“), დუნგა („ფიორენტინა“, იტალია), ანდრადე („რომა“, იტალია), სილასი („სპორტინგი“, პორტუგალია), ტიტა („პესკარა“, იტალია), ვალდო („ბენფიკა“), ვ. კარეკა („კრუზეირო“), რაი („სან პაულუ“), ტონინიო („პორტუგეზა“).

**თავდასხმა:** ბებეტო („ფლამენგო“), ნილსონი („ინტერნასიონალი“), ვაშინგტონი („ფლუმინენსე“), ვივინიო („ვასკო და გამა“), ზინიო („ფლამენგო“), ჟოაო პაულუ („გუარანი“), კარეკა („ნაპოლი“, იტალია), რომარიო („ეინდჰოვენი“, ჰოლანდია), მიულერი („ტორინო“, იტალია), რენატო („რომა“, იტალია).

**ბრაზილიის** საფეხბურთო ფედერაციას ახალი პრეზიდენტი ჰყავს. ესაა 41 წლის ტეიქსეირა, რომელმაც ოქტავიო გიმარაეში შეცვალა.

**პორტუგალიის** „სპორტინგს“, მცირე პაუზის შემდეგ, სათავეში ჩაუდგა წარსულში ცნობილი ფეხბურთელი, ურუგვაის ნაკრების წამყვანი მცველი პედრო როჩა.

**შოტლანდიის** „აბერდინმა“, რომელიც ქვეყნის მიმდინარე ჩემპიონატში მესამე ადგილისათვის იბრძვის, ჰოლანდიის „ვილემ II ტილბურგიდან“ გადმოიყვანა ბომბარდირი ვილემ ვან დერ არკი.

**პორტუგალიაში** გაიმართა წამყვანი კლუბების ვეტერანთა ტურნირი. მაყურებლებმა კვლავ იხილეს გასული წლების „ვარსკვლავები“: ეუსებიო, ნენე, დიამანტინო, ალვეში, ტონი, ფილიპოვიჩი („ბენფიკა“), დამასი, მანუელ ფერნანდეში, ვაგნერი (გფრ), მარინიო (ბრაზილია), ჩიკო ფარია („სპორტინგი“). შეჯიბრება „ბენფიკამ“ მოიგო.

**იტალიის** „უნიტამ“ გამოაქვეყნა საინტერესო სტატისტიკური ცნობები. შარშან უცხოელ ფეხბურთელთა შესასყიდად ქვეყნის კლუბებმა 66 მილიარდ 600 მილიონი ლირი დახარჯეს. ყველაზე მეტი — 7 მილიარდი გადაიხადა „იუვენტუსმა“ ზავაროვში. ყველაზე ნაკლები 200 მილიონი „სამპდორიამ“ ესპანელ ვიქტორში.

13 ტურის განმავლობაში ყველაზე მეტ ხანს მოედანზე დაჰყო იუგოსლაველმა არსლანოვიჩმა („ასკოლი“) 1170 წუთი, რომელმაც ყველა მატჩი შეუცვლელად ითამაშა. ყველაზე ცოტა — ჩილელმა რუბიომ („ბოლონია“) 29 წუთი. კასაგრანდე („ასკოლი“) და ელიოტი („პიზა“) საერთოდ არ გამოსულან მინდორზე.

**„გაძეტა დელო სპორტის“** (იტალია) ანკეტით 14 ტურის შემდეგ უცხოელ მოთამაშეთა შორის (საშუალო შეფასებით) საუკეთესო შედეგი აქვს კარეკას (ბრაზილია, „ნაპოლი“) 6,88 ქულა. შემდეგ მოდიან მარადონა არგენტინა, „ნაპოლი“) და პრიტცი (შვეცია, „ატალანტა“) 6,68 ქულა თითოეულს, ბრემე (გფრ, „ინტერი“), მილტონი (ბრაზილია, „კომო“) და ჟუნიორი (ბრაზილია, „პესკარა“) 6,60 ქულა. ბომბარდირთა შორის წინ არიან კარეკა (10) და მარადონა (6 გოლი).

(საქ. ინფ.).

## [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

[illegible]. როგორც ცნობილია, 2-12 მარტს სოფიაში ჩატარდება სტუდენტთა ზამთრის XIV მსოფლიო თამაშები. საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას მიიღებენ სამთო-სათხილამურო სახეობებში, ბიატლონში, რბოლაში, ჰოკეიში, ტრამპლინიდან ხტომაში, ციგურაობაში (შორტ-ტრეკი), ჰოკეისა და ციგურებით ფიგურულ სრიალში. ეს შეჯიბრება 1992 წლის ზამთრის ოლიმპიადისთვის მზადების ციკლის პირველი საერთაშორისო ასპარეზობა იქნება. შეგახსენებთ, რომ სტუდენტთა ზამთრის მსოფლიო თამაშებში საბჭოთა კავშირის დელეგაცია 1958 წლიდან გამოდის.

**ალვენი** (საფრანგეთი). აქ მიმდინარე მძლეოსანთა საერთაშორისო ტურნირზე სამხტომში გამარჯვება მოიპოვა კუბელმა ხორხე რეინამ. მისი შედეგი 17,07 მ. წლევანდელ დახურულ შენობაში მსოფლიოს საუკეთესო მაჩვენებელია. მინსკელმა იგორ ლაპშინმა მეორე ადგილი დაიკავა — 16,74 მ.

**ლუქსემბურგი.** სამთო-მოთხილამურე მარკ ჟირარდელი, 1988 წლის შედეგების მიხედვით, ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად აღიარეს. გამარჯვებულმა 205 შესაძლებლიდან 170 ქულა დააგროვა.

**ზიმერატი** (გფრ). სიმაღლეზე მხტომელთა საერთაშორისო შეჯიბრებაში მსოფლიოს რეკორდსმენმა, კუბელმა ხავიერ სოტომაიორმა 237 სანტიმეტრი დაძლია, მეორე ადგილი ტურნირის მასპინძელს კარლო ტრენჰარდტს ხვდა წილად — 234 სმ.

### ჩემბერლენი თუ ჯორდანი?

**კალათბურთის** ეროვნული ასოციაციის საუკეთესო სნაიპერად ამერიკაში მრავალი წლის უილტ ჩემბერლენი ითვლება. ახლა მის პოზიციებს სერიოზულად ავიწროებს „ჩიკაგო ბულზის“ არანაკლებად პოპულარული თავდამსხმელი მაიკლ ჯორდანი.

ამას წინათ ეროვნული ასოციაციის ჩემპიონატის მორიგ მატჩში ფილადელფიელებთან ჯორდანმა თავის კოლექტივს 33 ქულა შესძინა და გაუთანაბრდა ჩემბერლენის რეკორდს. ნბა-ს სტატისტიკოსთა მონაცემებით ჯორდანმა 303 მატჩში 10.000 ქულა დააგროვა. მაგრამ იმავე სტატისტიკოსთა განმარტებით ჩემბერლენის რეკორდის გაუმჯობესებაზე ლაპარაკი არ შეიძლება, ვინაიდან ამ უკანასკნელმა 10.000 ქულა 236 მატჩში აიღო. ე. ი. ჩემბერლენი ყოველ მატჩში საშუალოდ ჯორდანზე მეტ ქულას აგროვებდა.

# +1 ვაკელებმა გაიხარეს

ვაკელებმაო, ვამბობთ, თორემ ამ სიხარულს თბილისის სხვა რაიონების მცხოვრებნიც გაიზიარებენ. რატომაც არა, ვაკის საცურაო აუზის შენობაზე მიშენებულ „საჭყუმპალაოში“ ცურვის სწავლა შეუძლიათ როგორც მასთან ახლო-მახლო, ისე დაშორებით მცხოვრებთაც. „საჭყუმპალაოები“ ხომ მთელ თბილისში თითზე დასათვლელია და, ამდენად, თითოეული ასეთი აუზის შემატება დიდაც რომ სასიხარულოა, მით უმეტეს, თუ ამ აუზში არა მხოლოდ ბავშვებს, არამედ უფროსებსაც შეეძლებათ გაიკაჟონ ორგანიზმი.

ეს საჭყუმპალაო ტრესტ „საქსპორტრემშენის“ პირველმა სამმართველომ ააშენა.

„საჭყუმპალაოს“ ადმინისტრაციული შენობა სამსართულიანია. აქ მოუწყვიათ 50 ადგილიანი 16 ოთახიანი სასტუმროც.

უკვე მიუღიათ პირველი სტუმრებიც. სიმბოლურია, რომ სასტუმროს პირველი ბინადარნი ლენინაკანის მძლეოსნობის სპორტსკოლის აღსაზრდელები არიან.

ახლა, მოდით, თავად „საჭყუმპალაო“ დავათვალიეროთ. მას აქვს გასახდელები, საშხაპეები, სამედიცინო ოთახი... თავად აუზი ვრცელი და ნათელია.

პირველნი, ვინც აქ ცურვის ანბანის შესწავლა დაიწყო, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტთან არსებული ბავშვთა და მოზარდთა ექსპერიმენტული სპორტსკოლის აღსაზრდელები არიან.





როგორც საქართველოს სპორტსახკომის ცენტრალური სასწავლო-საწვრთნელი კომპლექსის გენერალურმა დირექტორმა დავით ბერძენიშვილმა გვითხრა, მათ უარი თქვეს აუზებში მოქმედ ტრადიციულ ფილტრებზე და მის ნაცვლად სულ მალე აამოქმედებენ ვერცხლის წყლის იონატორ „ისტ-5“-ს, რომელსაც დიდი უპირატესობა აქვს. ეს იონატორი პრაქტიკულად ყოველგვარ ბაქტერიას სპობს, წყალს ქანგბადით ამდიდრებს და მოცურავეს არც ქლორი აუწვავს თვალებს.

აქ კიდევ ერთი სიახლისთვის მიუმართავთ. აუზის ირგვლივ ვოლგოპოლის ხალიჩა დაუგიათ. მასზე ბავშვებს ფეხი არ დაუსხლტებათ. ამასთან იოლი მოსავლელია, მალე შრება და არც წყალს ატარებს.

— მომავალში ვფიქრობთ „საჭყუმპალაო“ 50-მეტრიან აუზს დერეფნით დავაკავშიროთ, — ამბობს ამ ბაზის უფროსი თემურ ჩაველეიშვილი. — აგრეთვე, გვინდა „საჭყუმპალაოს“ შენობა უკეთ მოვაპირკეთოთ. ეს ყველაფერი აუზის სრული დატვირთვით მუშაობას ხელს არ შეუშლის. ვფიქრობთ, რომ ყოველდღიურად 350-მდე ბავშვსა და მოზრდილს მოვემსახურებით. მათ ცურვას კვალიფიციური ინსტრუქტორ-მეთოდისტები შეასწავლიან. აუზის იჯარით გამოყენება შეუძლიათ როგორც სპორტსაზოგადოებებს, ისე სკოლებს, საბავშვო ბაღების აღსაზრდელებს.

და კიდევ ერთი — აუზებისთვის ცხელი წყლის მიწოდება თითქმის ყველგან პრობლემაა, მაგრამ, როგორც გვითხრეს, ამ „საჭყუმპალაოს“ ასეთი საშიშროება, პრაქტიკულად, არ ემუქრება.

ახლა კი „სიტყვა“ დავუთმოთ ფოტოობიექტივს, რომელიც უფრო ნათლად დაგვანახებს „საჭყუმპალაოს“, ვიდრე ჩვენი ნაამბობი.

**ავთანდილ ჭყვიშელი.**

ავტორის ფოტოები.





სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# არმიელთა მეოთხე დამარცხება

გაიმართა უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგი მატჩები.

**მოსკოვი.** ადგილობრივი „დინამოსა“ და ცსკა-ს პირველი მატჩი, როგორც ვიუწყებოდით, დინამოელებმა მინიმალური უპირატესობით (ქულით) მოიგეს. განმეორებით შეხვედრაში გულშემატკივრები არმიელთაგან რევანშს ელოდნენ, მაგრამ მოლოდინი პირველსავე ტაიმში გაბათილდა. „დინამომ“ მატჩის ნახევარი 27 ქულით მოიგო — 60:33.

შესვენების შემდეგ ცსკა-მ ნაწილობრივ გამოასწორა მდგომარეობა, მაგრამ შეხვედრის გადარჩენა, ცხადია, ვერ შესძლო. არმიელებმა გათამაშების ცხრილში მეოთხე დამარცხება ჩაიწერეს — 82:100.

**ტალინი.** „კალევმა“ პირველი ორთაბრძოლა ვილნიუსის „სტატიბას“ დიდი ანგარიშით მოუგო. მეორე შეხვედრაში ვილნიუსელებმა რევანში აიღეს — 110:103 (62:52).

**გათამაშების ცხრილი**

**მდგომარეობა 31 იანვრისთვის**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| „დინამო“ (მოსკოვი) | 24 | 14 | 10 | 38 |
| ასკ (ალმა-ათა) | 22 | 15 | 7 | 37 |
| ცსკა | 19 | 15 | 4 | 34 |
| „კალევი“ | 22 | 9 | 13 | 31 |
| „სპარტაკი“ (ლენინ.) | 22 | 6 | 16 | 28 |
| „სტროიტ.“ (კიევი) | 14 | 13 | 1 | 27 |
| რტი (მინსკი) | 19 | 8 | 11 | 27 |
| „სტატიბა“ (ვილნ.) | 18 | 9 | 9 | 27 |
| „დინამო“ (თბილ.) | 20 | 7 | 13 | 27 |
| ვეფ (რიგა) | 23 | 4 | 19 | 27 |
| „შახტიორი“ (დონ.) | 20 | 6 | 14 | 26 |
| „ჟალგირისი“ (კაუნ.) | 13 | 12 | 1 | 25 |

# ნაკრების მწვრთნელებისა და ფედერაციის თავმჯდომარის არჩევნები



**როგორც** ვიუწყებოდით, საკავშირო სპორტსახკომის კონფერენცდარბაზში ჩატარდა სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა და ქალთა ნაკრები გუნდების მთავარი მწვრთნელების არჩევნები, რომელშიც მონაწილეობდნენ ფედერაციის ხელმძღვანელები, სპეციალისტები, ნაკრების წევრები. მწვრთნელებმა, რომლებიც ვერ ჩამოვიდნენ მოსკოვში, თავიანთი კანდიდატურები დეპეშებით წარმოადგინეს.

ქალთა გუნდის ხელმძღვანელად კენჭს იყრიდა სამი სპეციალისტი: ე. გომელსკი, ლ. იაჩმენიოვი და ა. მიშკინი. კანდიდატთა პროგრამის განხილვის შემდეგ მიშკინმა ოცდათორმეტიდან 4 ხმა მიიღო, იაჩმენიოვმა — 10, მოსკოვის „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელმა გომელსკიმ კი — 18.

თავდაპირველად ვაჟთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის კანდიდატთა სია ხუთ გვარს მოიცავდა: ი. სელიხოვს, რ. გირსკისს, ვ. გარასტასს, ს. ბელოვსა და ა. კრაულინს. არჩევნების დაწყებამდე სელიხოვმა და გირსკისმა თავიანთი კანდიდატურები მოხსნეს. კაუნასის „ჟალგირისის“ უფროსმა მწვრთნელმა გარასტასმა 24 ხმა მიიღო, ბელოვმა — 5, კრაულინმა — 3.

გარასტასმა და გომელსკიმ კენჭისყრის შემდეგ განაცხადეს: თუ სსრ კავშირის სპორტსახკომი დაამტკიცებს ჩვენს კანდიდატურებს, თავს დავანებებთ კლუბებში მუშაობას.

ჩვენი ქვეყნის საკალათბურთო ცხოვრებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტი მოხდა. მოსკოვში გაიმართა საკავშირო ფედერაციის პლენუმი, რომელმაც ამ სპორტული გაერთიანების ახალი პრეზიდიუმი აირჩია. კალათბურთის საკავშირო ფედერაციის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეულია სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ა. გომელსკი.

# ვლადიმერ ვისოცკი — სპორტსმენი

**ეს** წიგნი, დარწმუნებული ვართ, გაახარებს სპორტის მოყვარულებსაც და, რაღა თქმა უნდა, პოპულარული მომღერლის, მრავალი ლექსისა და მელოდიის ავტორის ვლადიმერ ვისოცკის თაყვანისმცემლებს.

კრებული „ვლადიმერ ვისოცკი, გზის ოთხი მეოთხედი“, რომელიც გამომცემლობა „ფიზკულტურა ი სპორტმა“ გამოუშვა, მიუხედავად დიდი ტირაჟისა (200.000 ეგზ.), საკმაოდ ძნელი საშოვნელი გახდა.

რამდენიმე დღის წინ — 25 იანვარს ვ. ვისოცკის თაყვანისმცემლებმა აღნიშნეს მისი დაბადებიდან 51 წელი. ნიჭიერი, თავისებური სტილის მომღერალი უკვე რვა ნახევარი წელიწადი ამ ქვეყნად აღარ არის. იგი მოსკოვის ოლიმპიადის დღეებში გარდაიცვალა — 1980 წლის 25 ივლისს.

ოლიმპიადაზე ვიყავი და მოწმე გავხდი, როგორ აცილებდა საყვარელ მომღერალს უკანასკნელ გზაზე მთელი მოსკოვი. 28 ივლისი იყო XXII თამაშების მეათე დღე. მახსოვს, ვიღაცამ სინანულით აღნიშნა, ვისოცკი ოლიმპიადას ბოლომდე ვერ დაესწრო, არადა როგორ უყვარდა სპორტი...

მართლაც, სპორტის დიდი თაყვანისმცემელი იყო. ბევრი, ძალიან ბევრი ლექსი და სიმღერა უძღვნა მას და აკი ამიტომაცაა, რომ „ფიზკულტურა ი სპორტმა“ თავისებური ხარკი გაიღო — მშვენიერი 285-გვერდიანი კრებული გამოსცა მისი ხსოვნის აღსანიშნავად.

წიგნში შესულია ვ. ვისოცკის ლექსები ავტორისეული კომენტარებით, მისი საყურადღებო მსჯელობა სპორტზე, მეგობრების, კოლეგების, თავად სპორტსმენების მოგონებები ამ ყველასათვის ცნობილ „გიტარიან კაცზე“. სახელგანთქმული ჩემპიონები მიხეილ ტალი და დავით ტიშლერი, ოლეგ ბლოხინი და ვიაჩესლავ სტარშინოვი საინტერესოდ აღწერენ შეხვედრებს ვ. ვისოცკისთან. იგი თურმე სხვადასხვა დროს გატაცებული იყო ტანვარჯიშით და ცურვით, ცხენოსნობით და ჭადრაკით, ფარიკაობით.

600-ზე მეტი პოეტური ნაწარმოების ავტორმა ოცზე მეტი როლი შეასრულა მშობლიური ტაგანკის თეატრის სცენაზე, ოცდაათ მხატვრულ და სატელევიზიო ფილმში მიიღო მონაწილეობა, და, ვინ




მოთვლის, რამდენი კონცერტი გამართა ჩვენს ქვეყანაში თუ საზღვარგარეთ. ვ. ვისოცკი ასრულებდა საკუთარ სიმღერებს, ბევრს უმღეროდა სპორტსმენებსაც — ალპინისტებს, მეკლდეურეებს, მოციგურავეებს, მოკრივეებს, ტანმოვარჯიშეებს, მოჭადრაკეებს, ძალოსნებს, მძლეოსნებს, ჰოკეისტებს, ფეხბურთელებს...

**ოთარ ნოზაძე.**

კალეიდოსკოპი

## გრეცკი — უახლოვდება რეკორდს

**კანადის** პროფესიული ჰოკეის „სუპერვარსკვლავმა“ უეინ გრეცკიმ, რომელიც ამჟამად „ლოს-ანჯელეს კინგზის“ ღირსებას იცავს, „ჰარტფორდ უეილერზთან“ მატჩის შემდეგ „გოლი პლიუს პასის“ კონკურსში 1771 ქულა (616 გოლი და 1155 შედეგიანი პასი) დააგროვა. მას ახლა პროფესიული ჰოკეის ისტორიაში მეორე შედეგი აქვს ლეგენდარული გორდი ჰოუს შემდეგ — 1852 ქულა.

გრეცკი მეათე სეზონია რაც ყოველ წელს 100 ქულიან ზღვარს აჭარბებს. წლეულსაც 47 მატჩში მან 102 ქულა დააგროვა (33 გოლი და 69 პასი). ბომბარდირთა სიას კი 122 ქულით კვლავინდებურად მარიო ლემიე ლიდერობს.

მიმომხილველების აზრით 27 წლის გრეცკი მომავალ სეზონში გორდი ჰოუს რეკორდს გადააჭარბებს.

## ევერესტი შველას ითხოვს

მრავალრიცხოვანმა ექსპედიციებმა იმდენად დაანაგვიანა მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი — ევერესტი, რომ იგი დროებით მაინც უსათუოდ უნდა „დაიხუროს“. ასე ფიქრობს ევერესტის პირველი დამპყრობი ედმუნდ ჰილარი.

ლეგენდარულმა ახალზელანდიელმა ალპინისტმა მსოფლიოს უმაღლესი მწვერვალი პირველად 1953 წელს დალაშქრა. ამას წინათ გამართულ პრესკონფერენციაზე მან კატეგორიულად განაცხადა, რომ მწვერვალს სულ ცოტა ხუთი წლით მაინც თავი უნდა დავანებოთ. ეს პერიოდი საკმარისი იქნება იმისათვის, რომ ევერესტმა თვითონ მოუაროს თავის თავს და ადამიანის ნაკვალევი „წაშალოს“.

## კონტროლის გამკაცრება

მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) ხელმძღვანელობა თავის მორიგ სხდომაზე განიხილავს დოპინგ-კონტროლის პრობლემას იმ ტურნირებში, რომლებიც ამ საერთაშორისო ორგანიზაციას არ ექვემდებარებიან. ეს პირველ რიგში პანამერიკულ და თანამეგობრობის თამაშებს ეხება.

დღის წესრიგში დგას, აგრეთვე, დოპინგ-კონტროლის ორგანიზაცია წვრთნის დროს. როგორც ცნობილია, ამ საკითხის ირგვლივ მოლაპარაკებას აწარმოებდა სამი წამყვანი მძლეოსნური ქვეყანა — საბჭოთა კავშირი, აშშ და გდრ.

ამავე სხდომაზე აირჩევენ ქალაქს, რომელიც დახურულ შენობაში მსოფლიოს 1991 წლის ჩემპიონატს უმასპინძლებს. კანდიდატთა ვინაობა დიდი ხანია ცნობილია: ესენი არიან ათენი და სევილია.

## ვეტერანები ძალებს ცდიან

3 თებერვალს ნიუ-იორკში ჩატარდება მძლეოსანთა პოპულარული ტურნირი — „მილროუზის“ თამაშები. ამ თავისებურ სპორტულ შოუში, რომელიც „მედისონ სკვერ გარდენში“ ყოველწლიურად უამრავ მაყურებელს უყრის თავს, გამოვლენ კენიელი მორბენლები, წარსულში სახელმოხვეჭილი მძლეოსნები კიპ კეინო და მაიკ ბოიტი.

49 წლის კეინოს და 40 წლის ბოიტს სხვადასხვა ოლიმპიადაში ხუთი მედალი აქვთ მოპოვებული. წლების მანძილზე მათ ბადალი არ ჰყავდათ საშუალო მანძილებზე რბენაში და, ცხადია, ამის გამო, დიდი პოპულარობითაც სარგებლობდნენ.

ვარაუდობენ შეჯიბრებაში ჯიმ რაიანის, ფრენკ ფორტერის, რონ ბელისა და სხვა გამოჩენილი მორბენლების გამოსვლას.

მსოფლიო სპორტის ვარსკვლავები

# კენ როზუოლი

**მსოფლიო** ჩოგბურთში კენ როზუოლს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მისი სპორტული ბიოგრაფია საკმაოდ ვრცელია და მდიდარი მთელი რიგი პერიპეტიებით. როზუოლის სპორტული კარიერის ხანგრძლივობა ნებისმიერ ჩოგბურთელს შეშურდებოდა.

საერთაშორისო სარბიელზე იგი 17 წლის ასაკში გამოჩნდა და საკმაოდ ჩამოყალიბებულ ჩოგბურთელად მოგვევლინა. უკვე 19 წლისა იგი ავსტრალიის ჩემპიონი გახდა და ხოადთან წყვილში უიმბლდონის ტურნირზეც გაიმარჯვა. 1960 წელს მოიპოვა მსოფლიო ჩემპიონის ტიტული პროფესიონალებს შორის და ეს ტიტული მან 1965 წლამდე შეინარჩუნა. კენ როზუოლმა ორჯერ მოიგო ამერიკის ღია ჩემპიონატი (1956 და 1970 წლებში), ოთხჯერ ფლობდა ავსტრალიის ჩემპიონის ტიტულს (1953, 1955, 1971 და 1972 წ.წ.), მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში (დალასი, 1972 წელი) ლეგენდარული როდ ლეივერი დაამარცხა, ხოლო 1973 წელს იგი ავსტრალიის ნაკრების იმ შემადგენლობაში თამაშობდა, რომელმაც გამანადგურებელი ანგარიშით 5:0 სძლია აშშ-ის ძლიერ კოლექტივს მისსავე მოედანზე.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი წარმატებებისა, კენ როზუოლი მაინც უიღბლო ჩოგბურთელად შეიძლება ჩაითვალოს. იგი ოთხჯერ იყო უიმბლდონის ტურნირის ფინალისტი (1954, 1956, 1970 და 1974 წ. წ.), მაგრამ ოთხივეჯერ ხელი მოეცარა. აღსანიშნავია, რომ პირველად მან ფინალში 19 წლისამ ითამაშა (1954 წელს), ხოლო უკანასკნელად — 39 წლისამ (1974 წელს).

აი, როგორ აზრს გამოთქვამს ვერა სუკოვა (ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი ჩოგბურთელის ჰელენა სუკოვას დედა), რომელმაც როზუოლის თამაში იხილა იან კოდეშთან 1972 წელს: „მის თამაშს ახასიათებს მაქსიმალური ეკონომიურობა, შეუბოჭველობა, მოქნილობა და მიზანდასახულობა. მე ბევრჯერ მსმენია, რომ როზუოლი ჩოგბურთის ფუძემდებელია. პირადად მე ყველა მის დარტყმას კლასიკურს დავარქმევდი. იგი კლასიკოსია. მას აქვს განუმეორებელი თვისებები, რომელიც ყოველთვის ახლავს დიდოსტატს. იგი არასოდეს კმაყოფილდება მიღწეულით. ამიტომ ყოველდღიურად ხვეწავს თამაშის კლასს. ბავშვობაში მამამ მას გაანუვითარა არა ძალისმიერი, არამედ მიზანდასახული, ტაქტიკურად გამართული, ზუსტი, ლამაზი ჩოგბურთისადმი სიყვარული. ჩემი აზრით, როზუოლი ერთი სეტის განმავლობაში ხარჯავს ორჯერ ნაკლებ ენერგიას, ვიდრე კოდეში ან მისი სტილის მოთამაშეები.

არ მიყვარს მაღალფარდოვანი სიტყვები, მაგრამ როზუოლის ფეხების მუშაობა ტოვებს ფანტასტიკურ შთაბეჭდილებას. იმ სიტუაციებში, როდესაც საჭიროა ელვისებური გადაწყვეტილების მიღება, იგი მოქმედებს ინტუიციურად. ფეხების ზუსტი მოძრაობით ერთიორად იადვილებს დარტყმას. საკამათო არ არის, რომ როზუოლის წარმატებებს საფუძვლად უდევს დიდი ტალანტი, მაგრამ საეჭვოა რაიმე წარმატებისთვის მიეღწია თუ იგი მხოლოდ ამას დასჯერდებოდა და არ განავითარებდა თავის მომადლებულ ნიჭს განსაცვიფრებელი შრომისმოყვარეობით“.

როზუოლი განეკუთვნებოდა იმ მოთამაშეთა რიცხვს, რომელიც თავისი მეტოქის თამაშს შესანიშნავად იცნობდა და ყოველთვის უთვალთვალებდა მას.



კენ როზუოლი

კენ როზუოლმა შეადგინა იმ უძლიერეს ჩოგბურთელთა სია, რომელთაც იგი შეხვედრია. როდ ლეივერი, პანჩო გონზალესი, ფრენკ სედჟმენი, ლუი ხოადი, ჯონ ნიუკომბი, როი ემერსონი, ტონი ტრაბეტი, არტურ ეში, სტენ სმიტი, ილიე ნასტასე.

ამ სიაში ვერ ვხედავთ კრამერს, რომლის თამაშსაც როზუოლი დიდად აფასებდა, მაგრამ მისი შეხვედრა როზუოლთან შედგა კრამერის სპორტული კარიერის დასასრულს. ათეულში, აგრეთვე, არ არის შეტანილი გამოჩენილი სანტანა, რომელსაც როზუოლი, სამწუხაროდ, არც ერთხელ არ შეხვედრია.

კენ როზუოლის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან თვისებას წარმოადგენს თავმდაბლობა, რომელიც ახასიათებს ჭეშმარიტ ოსტატებს. მაგალითისათვის შეგვიძლია მოვიყვანოთ გაზეთ „რუდე პრავოს“ კორესპონდენტის მოგონება მის შესახებ: „როდესაც წყვილთა თამაშის დროს მისმა პარტნიორმა ფრანტიშეკ პალამ ვერ შეძლო აეღო იოლი ბურთი და ამის გამო ბოდიში მოუხადა როზუოლს, დიდმა ჩოგბურთელმა ღიმილით შეხედა თავის კოლეგას, დააწყნარა და უთხრა — „რას იზამ, ხდება ხოლმე...“

ასეთი ჩოგბურთელები არასოდეს არ ავიწყდებათ სპორტის ამ ულამაზესი სახეობის ჭეშმარიტ თაყვანისმცემლებს და დღესაც მის მაგალითზე „მწვანე კონტინენტის“ ჩოგბურთელთა დიდი არმია იზრდება.

პუბლიკაცია მოამზადა
**ალექსანდრე ჯიბლაძემ.**

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“,

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 98-97-55,
სამდივნო — 98-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 98-97-58,
„მერანი“ — 98-97-26, „მართვე“ — 98-97-27.

ჩვენი ინდექსი 66485

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 10341